ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №44/01-01, 13.03.2017 წ.
დანართი №1

2017-2018 სასწავლო წლისათვის თსუ ინგლისურენოვანი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების მიმღებთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შეჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს შორის თსუ ინგლისურენოვანი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში სასწავლო სტიპენდიების მიმღებთა (სტიპენდიატი) შერჩევა 2017-2018 სასწავლო წლისათვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი

სტიპენდიატები შეირჩევიან კანდიდატთა შორის, რომლებიც ვლინდებიან ინგლისური ენის კომპეტენციის შესამოწმებელი ტესტირების შედეგად. (გარდა, პეკინის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შესარჩევი კანდიდატისა, მიმღები ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილია საერთაშორისო ტესტი).

3. სტიპენდიატის შერჩევა

ა) სტიპენდიატთა შერჩევა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

1. მოტივაციის წერილი
2. ზეპირი პრეზენტაცია (ინგლისურ ენაზე)
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

ბ) კანდიდატთა შერჩევის მიზნით ჩატარებული ინგლისური ენის კომპეტენციის შესამოწმებელი გამოცდის შედეგები სტიპენდიატთა შერჩევისას არ გამოიყენება, გარდა იმ შემთხვევის, როდესაც კანდიდატთა საბოლოო საკონკურსო შეფასება თანაბარია.

4. კომისიის შეფასება

ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.

ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.